№ 216. ოქტომბრის 7, კვირა. 1866—1884 ოქტომბრის 7, კვირა. № 216.

„დროების“ რედაქცია—სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ Редакцію „Дроэба“.

ფასი: წლით. 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა კაპ; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

„Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и заграницы принимаются только въ цент. конторѣ объявл. А. Метцль., Москва, Петровка, № 6.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

### არწრუნისეული თეატრი

დღეს, ოქტომბრის 7-ს.

ქართული დრამატიული დასისაგან წარმოდგენილი იქნება:

I

**ხანუმა**

კომედია 3-ს მოქმ. 4-ს სურათად, თხზ. ა. ცაგარელისა.

II

**დილა ქორწილის შემდეგ**

ვოდევილი 1-თს მოქმ. ა. მოჩხუბარიძისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ. ბაბუნია, კორინთელი, ანდრონიკოვისა, მელიქიშვილისა, მძინაროვისა და სხვ. ქ. ყიფიანი, ნებიერიძე, მოხევე და აწყურელი.

ბილეთები ისყიდება თეატრის კასაში.

დასაწყისი 8 საათზედ.

---

### რა უფრო საჭიროა ჩვენთვის?

(კიდევ ბეთანიის განახლების გამო)

თბილისი, ოქტომბრის 7-ს.

ჩვენ მივიღეთ ერთი კერძო წერილი, რომლის დამწერიც ჰკიცხავს ჩვენს მოქმედებას ბეთანიის დაცვის საჭიროების თაობაზე და გვეკითხება, რომ პასუხი ვაგოთ, როგორც ერთად-ერთის ქართულის გაზეთის წინამძღოლმა და ახალ-გაზდობის გზის-მაჩვენებელმა, რა უფრო საჭიროა ჩვენთვის, მშვენიერი მონასტრები თუ წალმართად განვითარებული ახალ-გაზდობა? უნდა ვაღვიაროთ, რომ გარემოებათა შორის, რომელშიაც ჩვენ ვტრიალებთ არ გვეგონა, თუ ამ გვარ საგანზედ რამ ბაასის ჩამოგდება იქნებოდა საჭირო. ჩვენ შემცდარნი ვყოფილვართ. ეს განსაკუთრებული ვითარება თურმე ყველას ერთგვარად არ ესმის და უთუოდ ყველაზე არც ერთ-ნაირად მოქმედობს.

ჩვენ ისიც მოგვდის ფიქრად, რომ იქნება, წერილის დამწერმა არ მიაქცია ყურადღება იმ გვარს მოვლენას, როგორის მოვლენის ჭამოწვევაც ჰსურდა მურიეს თავის შენიშვნით ბეთანიის ტაძრის (და არა მონასტრის ზერებითურთ) განახლებისათვის და ჩვენ ჩვენის წერილით ამავე აგნივს თაობაზე.

აქამომდე დარწმუნებული ვიყავით, რომ ყოველივე ჩვენი მოღვაწეობა, ჩვენი ფიქრი და გონება — ყოველივე ესე მომავალს ეკუთვნოდა. და თუ ვილეწვოდით, თუ სიცოცხლეს ვიმწარებდით და გავიმწარებთ, თუ წელებზე ფეხებს ვიდგამდით, ყოველსავე ამას იმიტომ, რომ განგრძობა მიეცა ღმერთს ჩვენის არსებობისათვის, გამარჯვება მიეცა ჩვენის სურვილისა და აზრისათვის. ხოლო ვინ უნდა განაგრძოს ჩვენი არსებობა, თუ არ ახალ-გაზდობამ, თუ არ მომავალ თაობამ და რაზე უნდა იყოს ჩვენი ფიქრი, ჩვენი ზრუნვა, თუ არ ჩვენთა შვილთა ბედნიერებაზე! რა აზრი ექმნებოდა მაშ ჩვენს წვასა და დაგვას, თუკი ჩვენ ახალ-გაზდობაზე ზრუნვა მხოლოდ მცირედა გვქონდეს გულს დაჩნეული. ეს ჩვენი მომავალი თაობის-ომი უზრუნველობის დაწამება ისევე დაჰაძება, რომ მამაზე თქვას ვინმე, ამას თავის შვილი არ უყვარს, მისთვის არ ზრუნავსო. ხოლო ვინც იცის, რა ძნელია ასეთი წამი დაედოს მამას შვილის შესახებ, ის არ იტყვის, რომ საზოგადოება, ერი, ქვეყანა არა ზრუნავს თავის ახალ-გაზდობაზედ, მის წალმართად განვითარებაზედ.

რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ დაქცევისათვის გამზადებულს ტაძარს, რომლის კედელზე სხვათა-შორის სათაყვანებელის მეფის სურათია დაცული, რომელიც ამას გარდა წარმოადგენს ნაშთს ჩვენის საკუთარის ხელოვნებისას, ჩვენებურის ორიგინალურის სტილის ცხოველს დამტკიცებას და მაშასადამე ჩვენის განვითარებისას და კულტურისას ოდესმე, —ნუ თუ ყოველ ივე̈ეს არა ღირს იმათ, რომ, მურიესი არ იყოს, ,,უბრალო ფიცრის ჭერი მაინც დაეხუროს იმას'', ვისი სახელიც დღეს ბავშვსაც კი პირზე აკერია.

ჩვენ გვგონია, რომ ჩვენ ამ საგანს ვალდებულნი ვართ ყურადღება მივაქციოთ სხვათა მოსაზრებათა გამოც. დარწმუნებულნი ვართ, რომ ახალ-გაზდობას კარგად ესმის მნიშვნელობა დღევანდელის ჩვენის მდგომარეობისა, კარგად ესმის, რა სიღრმისა და სიგანის საგანია ის გარემოება, რომ ფრანცუზი მურიე, კავკასიაში მეცნიერულის აზრით წარმოგზავნილი საფრანგეთის სახალხო განათლების სამინისტროს მიერ, ითხოვს განახლებას იმ ძველი დროის ნაშთებისას, რომელნიც განსასვენებელნი ადგილნი ყოფილან საქართველოს მეფეთა, რომელნიც, კიდევ ვიტყვით, ატესტატით ამტკიცებენ, რომ ჩვენ შეგვძლებია, შეგვიძლიან და წარმატების გზაზე სვლას, ჩვენ შევიძლებთ კულტურულ მოღვაწეობას, განვითარებას, წინწაწევას.

თვით ახალ-გაზდობა, თვით მოზარდი თაობა პირველი გვეტყოდა

---

### «დროების» ფელეტონი, ოქტ. 7-ს.

### საკვირაო ფელეტონი.

ნიმუშები ჩვენის პროვინციის ცხოვრებისა. — საყურადღებო არზა. — ყოველგან-მყოფი მოწმები.—ვანო თარაშვილის წერილი. — ახალი სნეულება mania ambitiosa. — ამის მაგალითები: პირველი, მეორე, და მესამე.— განცხადებანი.

—

იცი, მკითხველო, რა არის «სუდის კარები»? თუ ჩვენს პროვინციაში არ გიცხოვრია, უეჭველია, არ გეცოდინება და ამიტომ მე აგიხსნი ამ დაწესებულების მნიშვნელობას. დიაღ „სუდის კარები“ დაწესებულებაა და ისეთი დაწესებულებაც, სადაც ყოველდღე, დილიდამ საღამომდე, დიდ-ძალი ხალხი ტრიალებს. აქ უბლევრის მოჩივარი მოპასუხეს და მოპასუხე მოჩივარს; აქ იქნიან ტვინებს ესრედწოდებული „ადვოკატები“; აქ არის გამართული პროვინციის ბირჟა, იქაური სალაყბო; აქ სესხულობენ და სესხობენ, აქ ისმის მაზრის ყოველივე ამბავი, აქ სჯიან მოსავალზედ, აქ... ჭორიკანაობენ... ერთის სიტყვით, «სუდის კარებია» ეხლა ძარღვი ჩვენის პროვინციის ცხოვრებისა.

თუ არ გეზარება, მე და შენც ხანდისხან გამოვცხადდეთ ხოლმე ამ «სუდის კარებთან» და დავუგდოთ ყური პროვინციალურ საზოგადოების ძარღვის ცემას. ყოველივე კანცელიარული საქმე არზით იწყება, მაშ ჩვენც ამ ცხოვრების დათვალიერება, რაკი კანცელიარიის კარებზედა ვართ, არზით დავიწყოთ.

ჩვენს წინა სძევს არზა ერთის პირისა რომელიც თავის მოპირდაპირეს უჩივის მამული წამართვაო და უკმაყოფილებას აცხადებს მომრიგებელი მოსამართლის გარდაწყვეტილებაზედ. არზა, რასაკვირველია, რუსულად არის დაწერილი ერთ-ერთის «ადვოკატისაგან» და რადგან ჩვენი ენა ისე სრული არ არის, რომ ყოველივე მისი სიმშვენიერის გადმოქართულება შეიძლებოდეს, ამიტომ ნებას ვითხოვთ მკითხველისაგან ერთის ადგილის მოყვანისას შეუცვლელად, თუმცა მთელი არზა ამ გვარისვე მჭევრმეტყველობით და სტატიების ცოდნით არის დაწერილი და ღირსია მკითხველისაგან სრულის ყურადღებისა.

ბლეხი ამბობს არზაში, რომ იგი:

„Онымъ рѣшеніемъ не доволенъ по слѣдующимъ доводамъ: г. Завѣдывающій Цхинвальскимъ мировымъ участкомъ, обративъ вниманіе на 1-ый и 2-ой пун. 409 ст. граж. судо-произ., упустили вовсе изъ виду 3 п. той же 409 ст., которая ясно гласить, что когда право на недвижимое имѣніе основывается на спокоиномъ, безпорномъ и непрерывномъ владѣніи или пользованіи въ теченіе установленнаго закономъ срока давности. Вотъ вслѣдствіе этого главнаго юридическаго термина г. Завѣдывающій Ц. М. У. долженъ былъ, въ доказательство моего иска допустить и допросить выставленныхъ мною свидѣтелей, слѣдовательно, мотированіе г. Завѣдывающій Ц. М. У. 409 ст. является ни въ полнѣ въ смыслѣ правосудьи вернаго, опорою въ рѣшеніи сего дѣла по этому покорнѣйше прошу Тифлисскій Окружный Судъ... და სხვა და სხვა.

ნუ გეგონება მკითხველო, რომ ამ არზის დამწერი ორ-გროშიანი ადვოკატი იყოს. ეჭვი არ არის, რომ რადგან აპელიაციის არზებს აწერინებენ (როგორც მოგეხსენებათ, ეს უნივერსიტეტებში კურსის გათავებას უდრის ჩვენს პროვინციებში), ალბად პირველ ადვოკატად ითვლება და, მისის კლიენტების აზრით, მისი არზა ისე ძლიერად არის დაწერილი, რომ „სიპი-ქვის გახეთქაც არ გაუჭირდება“. ახლა წარმოიდგინეთ, თუ პირველი ადვოკატი ამისთანა არზებსა სწერს, უკანასკნელი ხარისხისანი რაღა უნდა იყვნენ, — და მაშინ მიხვდებით, თუ რა ფასი უნდა დაედოს ბ. რაშეტის რჩევას, რომლითაც მასა ჰსურს ჩვენის ადვოკატების უზნეობის შელაგმა და კანონის გამოცემა უსინიდისო ადვოკატების წინაალმდეგ. თუ ასე მოხდა, მაშინ ზემოხსენებულისთანა არზების შემადგენლები არსად არ უნდა გააწაწანონ და პროვინცია სრულიად გულხელ-დაკრეფილი დარჩება, რადგან, დარწმუნებული ვართ, თითონ ბ. რაშეტი თიანეთში და ახალ-სენაკში არ წავა არზების საწერად.

* * *

მოარზეებს რომ თავი დავანებოთ, «სუდის-კარების» საზოგადოების შორის ჩვენს ყურადღებას მიიპყრობენ ჩვეულებრივ წყვილ-წყვილად მოსიარულენი, გლეხთა საზოგადოებიდამ გამოსულნი და აზნაურობაში თავისმდებნი, ძველ-ხანჯალ შემოკრულნი პირნი, რომელთაც შალის ჩოხის მაგივრად, გახუნებული მაუდის ჩოხები აცვიათ. ამათ ანა-ბანა სადღაც უსწავლიათ და ამ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების» იარაღს ყოველგან და ყოველთვის სამოწმოდა ხმარობენ. ესენი უფრო რომელიმე გავლენიანი და ხრიკებიანი პირის ხელში არიან, მისს ამალას შეადგენენ და ყოველ ჟამს მზადა აქვთ თავიანთ სვინიდისი და პატიოსნება... ერთ ჯამს ბოზბაშზე და ორ ჯამს ღვინოზე გასაცვლელად. რამდენიმე საჩივარი რომ ჰქონდეს ამ პირს სხვა-და-სხვა პირებზედ, სრულიად სხვა-და-სხვა სოფლებში მცხოვრებლებზე, მისი საჩივარი შეეხებოდეს ერთსა და იმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწარე საყვედურს, რომ გულ-ცივად მივეგებებოდით მაგ საგანს. თვით ახალ-გაზრდობა, მომავალი შთამომავლობა დასწყევლიდა ჩვენს სახელს, შეაჩვენებდა ჩვენს ხსენებას, საქოლავს აგვიგებდა, რომ თანაგრძნობის ხმა მაინც არ ამოგვეღო განათლებულის ევროპიელის მხურვალე მოწვევაზე. თვით განათლება, თვით ევროპა, მურიეს პირით, მიგვიწოდებს ამ საქმისადმი....

P. S. დასასრულ, წერილის დამწერი ჩვენსავე გაზეთს უსაყვედურებს, რომ წიგნები, მართალია, იბეჭდებაო, მაგრამ ძალიან ძვირად ჰღირან და ამისათვის სრულიად შეუძლებელია მათი მოპოვება ახალ-გაზრდობისაგანაო.

პირველად, როცა წიგნები შემოდის, ჩვენ გვგონია, ძალიან ძვირადა ჰღირან, მერე იაფდებიან, რომ ხალხმა, სიიაფით წატყუებულმა, მაინც იკითხოს, შემდეგ კი ძვირდებიან, რადგან ნამდვილი მოთხოვნილება ჩნდება წიგნის კითხვისა, გონების სიბნელიდამ გამოსვლისა. ეტყობა, ჩვენთვის ეს მესამე ხანა დამდგარა, ე. ი. როცა წიგნებს ნამდვილად ფასი ემატება მოთხოვნილების გაძლიერებისამებრვე. ღმერთმა ჰქნას, რომ ასე იყოს, მაგრამ ჩვენ ცოტა ვეჭობთ და გვგონია, რომ მესამე ხანას მაგივრად, მეორე ხანაში ვართ ისევ. იმ ხანაში, როცა წიგნებს, რამდენადაც კი შეიძლება, იაფად ჰყიდიან.

თითო-ოროლა მაგალითი წიგნების სიძვირისა ჩვენს წინაამდეგს აზრს არ ამტკიცებს და გვგონია, რომ აქამომდე დაბეჭდილნი და ისინი, რომელნიც დღეს იბეჭდებიან, არა ჰღირან ისე ძვირად, რომ მათი მოპოვება ახალ-გაზრდობას არ შეეძლოს. ხოლო ის ნაწილი მოსწავლე ახალ-გაზრდობისა, რომელსაც არ შეუძლიან ხელ-მოკლეობისა და სიღარიბის გამო არა თუ წიგნის მოპოვება, არამედ სწავლის გაგრძობაც კი, ვერ შეიქმნება საბუთად წიგნების გაიაფებისა. ახალ-გაზრდობის ამ ნაწილისათვის ავტორი და წიგნის დამბეჭდველი (სამწუხაროდ) ვერ იზრუნებს. ამ საგანზე ზრუნვა სრულიად სხვა გვარს გარემოებასა და დაწესებულებას უნდა დაუთმოს ერთმაც და მეორემაც.

## შინაური ქრონიკა

— დღეს, საღამოს 8 საათზედ, ქართული დრამატიული დასისაგან წარმოდგენილი იქნება «ხანუმა» კომედია სამს მოქმედებად და ოთხს სურათად, თხზ. ავქ. ცაგარლისა და «დილა ქორწილის შემდეგ» ვოდევილი 1 მოქმედებად, გადმოკ. ა. მოჩხუბარიძისაგან.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს მეორე სპექტაკლი დასისა ამ სეზონში ისეთივე თანხმობით იქმნება გამართული და რიგითა და წესით წარმოდგენილი, როგორც პირველი იყო და თვით საზოგადოებაც ისევე მრავლად დაესწრობა, როგორც წარსულს წარმოდგენას დაესწრო.

— ჩვენ გვატყობინებენ, რომ ამ დღეებში ქ. ბათუმში ჩვენს თანა-მემამულეს ბ. ფ. ქორიძეს გაუმართავს კონცერტი «ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების» ბათუმის სკოლის სასარგებლოდ. ამ კონცერტიდამ შემოსულა ნაღდი ფული 63 მან. და 25 კაპ., რომელიც მალე გაიგზავნება დანიშნულებისამებრო.

უნდა ვსთქვათ, რომ ბ. ფ. ქორიძე სწორედ სანაქებო და მისაბაძავ ქცევას ადგია. საქველ-მოქმედო აზრით გამართვა კონცერტისა მისგან ეს პირველი შემთხვევა არ არის და, იმედი გვაქვს, არც უკანასკნელი იქნება. თვით საგანი ქველ-მოქმედობისას ამ ნამდვილი ამოურჩევია. ვინც მიხვედრილია, რა მნიშვნელობა აქვს «წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას» ჩვენში და რა ძლიერი ფარ-ხმალია მის ხელში მრავლად მოგროვებული საშუალება და ღონისძიებანი, დაგვეთანხმება, რომ ჯერ-ჯერობით მხოლოდ ეს ერთად-ერთი „საზოგადოებაა", რომელსაც უნდა ეკუთვნოდეს სრული ჩვენი თანაგრძნობა.

— ჩვენ გვესმის ხმები, რომ მალე და ძალიან მალეც ჩვენი საეკლესიო გალობის საქმე სასურველს მსვლელობას მიიღებს. ამბობენ, რომ ნოტები კიდეც იწერება ქარბელაშვილების გალობის კილოსი და ნოტებით წირვის წესის გალობა პირველად იქნება იანვრის 14, წმ. ნინოობა დღეს სიონის ტაძარშიო.

— ახალციხიდამ გვწერენ: ამ ათის დღის წინად მოეკიდა ცეცხლი ერთს ძველს სახლს და არამც თუ თითონ გადიწვა, სხვა წვრილი სახლებიც იმსხვერპლა. მტრის ენა ამბობს, რომ სახლის დაზღვევის ბრალია, რომ იქ ცეცხლი გაჩნდა იმ ღამესაო. ჩვენ ცეცხლის გაჩენის მიზეზს თავი ვანებოთ და ის ვიკითხოთ: ქალაქს, რომელშიაც ითვლება 18,000 მცხოვრები, არ უნდა ჰქონდეს ცეცხლის საქრობი იარაღები? ქალაქს რომ ნათქვამი იარაღები ჰქონოდა ყოველ წელიწადს ცეცხლს არ გადააწვევინებდა რამდენსამე სახლობას და არც ყაზარმები დაიწვებოდა შარშან. ეს უკანასკნელი გარემოება ძვირად დაუჯდა ქალაქსაც. სჩანს, ქალაქის მმართველები ძალიან ზრუნავენ მცხოვრებლების სიკეთეზე.

ენკენისთვის 27-ს, ნაშუადღევს, პირველი საათის ნახევარზე, სეტყვა გვეწვია: სამი წამის განმავლობაში მოდიოდა მსხვილი სეტყვა და თეთრად დაჰფარა დედა-მიწა.»

— გაზ. «ნორდარი» ერთს ახირებულს და სრულიად დაუჯერებელს ამბავს მოგვითხრობს: სიღნაღში ერთი გლეხი დიდი ხანია დავაშია ვიღაც მდიდარ-

---

ევ საათს სხვა-და-სხვა ალაგას მომხდარ „ბოროტ-მოქმედებას", მისი ამალის წევრნი ხატსა და ჯვარზე შეეფიცამენ, რომ ჩვენის თვალითა ვნახეთ და ჩვენის ყურით გავიგონეთ, რომ, ვთქვათ, სურამის ახლო მდებარე სოფელში ამ კაცის საქონელი იმის მამულში გადასულიყოო და, ვთქვათ კიდევ, ტირძნისში (გორს ახლოა) იმავე საათს იმისავე ვენახიდამ ჩუმად ყურძენს ეზიდებოდენო.

ცრუ-მოწმობა შეიქნა ეხლა ჩვენში ბევრისათვის ცხოვრების სახსრად, ამ სენმა ძირი გაიმაგრა, ფესვები გაიდგა და ჩვენ გვეშინიან, ვაი თუ ბ. რაშეტისაგან ნაჩვენებმა საშუალებამაც ვერ შეიძლოს ამ სენის შემცირება.

⁂

ან ცრუ-მოწმობა რა საჭიროა ზოგიერთა პირებისათვის, როდესაც საჭირო დოკუმენტების შოვნაც მათთვის საძნელო არ არის, თუ იქაური ფუფალა მწყალობელი ეყოლებათ.

ქინალამ ამ გვარა დოკუმენტების ძალით ჩვენი რედაქციაც ამ დღეებში ხაფანგში არ გააბეს. წაიკითხავდით წარსულ კვირას „დროებაში" დაბეჭდილს წერილს თ. მ. ერისთვისას, რომელიც «კანონიერად» გვამტყუნებს და გვიმტკიცებს, რომ ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი წერილის დამწერს ვანო თარაშვილს ეს წერილი არც თითონ დაუწერია, არცა რა ვისთვის უთხოვნია დაწერა და ისიც კი არა სცოდნია, „დროება" მჭადის სახელია თუ ბოზბაშისა. ამის დამამტკიცებელი პროტოკოლი, შედგენილი ადგილობრივ ბ. მაზრის უფროსისაგან და ხუთიოდე ჩაფრის «რხეული კალმით» შემოწმებული, ჩვენ თითონა ვნახეთ ჩვენის თვალით და მოდით და ნუ დაიჯერებთ. ეს ამბავი შევატყობინეთ ვანო თარაშვილს და რადგან იმას ხელ-ახლად «რხეული კალმით» შემოწმება დასჭირებია, ნოტარიუსთანაც კი გაუბედნია წასვლა და იქ ნომრის და ბეჭდის დასმით შეუმოწმებია თავისი წერილი და დაუზონრინებია კიდეც. ჭეშმარიტად, დიდი თავ-გასვლაა ვანო თარაშვილის მხრივ! ამ სიბრიყვისათვის რომ მაშინვე ენა ტუჩებზედ მიეზონრათ და ნოტარიუსის ბეჭდი დაესვათ, მაშინ ველარ გაჰბედავდა ამ გვარს თავხედობასა და უფროსისადმი წინაამდეგობას.

⁂

ხოლერა, ღვთის მადლით, ჯერ აგვცდა, მაგრამ ჩვენში ახალი სენი ეპიდემიურ სენად გადაგვექცა და ამ სენსა ჰქვიან «mania ambitiosa». ამ სენით შეპყრობილს თავის თავი ყველაზედ უკეთესი და უწარჩინებულესი ჰგონია და საუკეთესო პოლემიკურ იარაღად და ჭეშმარიტების საბუთად ის მიაჩნია, რომ რომელიმე აზრი მისგან წარმოთქმულია და, მაშასადამე, უნაკლულო უნდა იყოსო.

ეს mania ambitiosa მეტის-მეტად საშიში სენია და იქნება, ხოლერასაც არ ჩამოუვარდეს. ხოლერა ცუდი რამ არის, მაგრამ ის სიკეთე მაინც სჭირს, რომ ადამიანებს ერთ-გვარად კვლანჭავს და ერთ-გვარადვე ჰხოცავს, ასე რომ ექიმებს შეტყობა მაინც არ გაუჭირდებათ, რომ ესა-და-ეს ავადმყოფი ხოლერით გამხდარა ავად და მაშასადამე ისეთი საშუალება უნდა იყოს მიღებული, რომელიც ხოლერას მოუხდებაო. „მანია ამბიციოზა" კი სხვა-და სხვა გვარად იჩენს თავს და დიდი დაკვირვებაა საჭირო, რომ კაცმა თვალად სრულიად სხვა-და-სხვა გვარ ავადმყოფებს ერთისა და იმავე ავადმყოფობის მიზეზი უპოვოს. ჰხედავ კაცს, თითქო სრულიად კარგად არის, სჭამს, სვამს, სძინავს, ჰკითხულობს, სწერს ისე, როგორც ყოველი ჯან-მრთელი ადამიანი, მაგრამ თუ იგი «მანიით» არის დაზიანებული, უცებ იმისთანა სიტყვას წარმოისვრის, ან დასწერს, რომ პირღია რჩები და უნებურად ჰკითხულობ — ამ კაცს თავზე ცივი კომპრესები ხომ არ ეჭირვებაო.

აი მაგალითები ამ გვარი სენით შეპყრობილთა: მაგალითი პირველი: ტფილისში სცხოვრობს სამი პირი: რ—ე, ბ—ე, ე—ვი. სამნივ არიან დარბაისელნი, დინჯნი, მთავრობისაგან პატივცემულნი და უმთავრესნი ბურჯნი ტფილისის მეცნიერებისა. არც ერთი გამოცემა კავკასიის შესახებ ვერ ასცდება ამათს თანამშრომლობას. ვერ ასცდა ამ თანამშრომლობას მეცხრე ტომი „Живописная Россія"-სი, რომელიც კავკასიას შეეხება. ამ ტომში რამდენიმე რამ ახალია ნაამბობი კავკასიაზედ, რომელიც სხვა მეცნიერებს თავის დღეში არც კი დასიზმრებიათ. მაგალითად, იქ ორი ჩვენის მდინარის მტკვრისა და რიონის სათავეები ერთი-ერთმანეთთან არის მოქცეული და იმდენი ალაგიც არა ჰყოფს თურმე მათ, რომ ჩვენს სამს მეცნიერს დასასხდომად ეყოს. ამ ახალს აღმოჩინებაში ეჭვი შეიტანა «კავკაზის» რეცენზენტმა პ---ჩმა, რომელსაც სამმა მეცნიერმა ჯერ სათითაოდ უგეს პასუხი და მასუკან საერთო წერილი დაბეჭდინეს «კავკაზში» და ქვეშ მოაწერეს: „ბერჟე, რადე, ერიცოვიო". ამ წერილში სამნი მეცნიერნი თავიანთ პირით ამბობენ და თავიანთ კალმითა სწერენ, რომ ჩვენ სრულის ყურადღებით წავიკითხეთ პ—ჩის რეცენზიაც და ბ. რადეს და ერიცოვის პასუხებიცაო და დავრწმუნდით, რომ პ—ჩი სტყუისო. თუ ამისთანა თავის-გამართლების მაგალითი სალი ადამიანებისა მოინახებოდეს რომელსამე ლიტერატურაში, ჩვენ მზადა ვართ ყოველ გვარი სასჯელი ვიკისროთ. მართლაც, რა წაიკითხეს ბერჟე-რადე-ერიცოვმა და ისიც სრულის ყურადღებით? რომ რეცენზიას სამნივ წაიკითხავდენ, ამაში ეჭვი არა გვაქვს, მაგრამ რადეს პასუხი ერიცოვმა წაიკითხა და ერიცოვმა რადესი, თუ რადემ რადესი და ერიცოვმა ერიცოვისა (ბერჟე რიღას მაჩანჩალაა, არ გვესმის)?! რომ კაცი თავისაგან შეთხზულს «სრულის ყუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან; თავის ქონება ლამის ზედ გადააგოს და აქამომდე საქმე არ გაუთავეს სასამართლოშიო. ერთს დღეს მისულა გლეხი სასამართლოში, როცა მსაჯული არა ყოფილა ჯერ მისული, ჩამოუკიდია ჯაჭვი და უთქვამს ხალხისათვის: ამოდენა ხანია ჩვენს მხარეში სამართალი არ არისო, მითხარით მე თქვენი საჩივარი და ყველას სწრაფად და სიმართლით გაგასამართლებთო. მსაჯული ჩქარა მისულა და ძალად მსაჯულობის დამჩემებელი ერთი დღით დაუტუსაღებია.

—

**კორექტურული შეცდომის გასწორება.** გუშინდელ ქრონიკაში, პირველი ამბის ბოლოს მოქცეული ფრაზა: „ბ. ცისკაროვი ამასაც არ დასჯერდა და ერთი წინდაუხედავი წერილი დაბეჭდა გაზეთს „კავკაზში“,—უნდა ამავე ამბის პირველი ხანის ქვეით მოექცეს შემდეგ ამ სიტყვებისა: „და ითხოვა გაჭრობის გაუქმება“.

## პასუხი ბ. იასონ კაპანაძეს

მოწყალეო ხელმწიფევ!

ეს არის ბალდისა და ქვიბიის მთებიდან დავბრუნდი. „დროების“ ძველ ნომრებს რომ თვალი გადავავლე, თქვენი წერილი შემხვდა დაბეჭდილი, რომელმაც მომცა შემთხვევა დაწვრილებით გიამბოთ ყოველივე, რაიცა შეეხება ყვირილის რკინის-გზის გაყვანასა.

თუმცა ძრიელ სათაკილოდ მიმაჩნია ჩემი და ჩემი ამხანაგების მოქმედების აღწერა საზოგადო საქმეებში, მაგრამ რადგან თქვენს კითხვებში სჩანს თვით საზოგადოების ცნობის მოყვარეობა და ინტერესი, ამისთვის, მეტი ღონე არა მაქვს, ისტორიულად უნდა მოვყვე თავიდგან იმას, რაც კი შეეხება რკინის-გზის შტოების გაყვანას ჩვენს მხარეში ერობის შემწეობითა.

ეს ორი წელიწადი მეტია, რაც ყვირილის რკინის-გზის თაობაზე გვქონდა მოლაპარაკება ნ. ი. ნიკოლაძეს და მე კავკასიის რკინის-გზის კამპანიის მოთავეებთან. ჩვენ წარვუდგინეთ დაწვრილებითი მოხსენება, თუ რამდენად სასარგებლო უნდა ყოფილიყო თვითონ ფოთი-თბილისის რკინის გზისათვის ყვირილის ხეობის რკინის გზა, რომელიც მისცემდა მას ათ მილიონს ტვირთსა ყოველ წლობით.

შორაპნისა და საჩხერის მაზრაში აკაკი წერეთლისა და სამთო ინჟინერის სტირიდონ სიმონოვიჩის მოღვაწეობით აღმოჩნდა მდიდარი ქვა-გუნდის (მარგანეცის) მადნები; იმათი წარმოება უცებ გავრცელდა. ევროპის პირველმა მდიდარმა კაცებმა მიიღეს მონაწილეობა იმის წარმოებაში, მაგრამ გზის უქონლობის გამო ვერას გახდენ. ამავე მაზრაში აღმოჩნდენ სხვა მადნებიცა, ნავთი, და ვრცელი ხელ უხლები ტყეები, მრავალი მოსავალი, ხშირად დასახლებული ხალხი. მაგრამ, სამწუხაროდ, ყველა ესენი ამ მდიდარს მთათ-სავანეში აქამომდე არიან უგზო უკვლობის გამო ჩაკეტილი და ჩამწყვდეული. ზემო იმერეთი მთელის ქუთაისის გუბერნიისათვის ძველადგან ყოფილა პირნახულის საუნჯედ. რაც კახეთია თბილისისათვის, იგივეა ზემო იმერეთი ქუთაისისათვის. მაგრამ რას ვამბობ? კახეთი აკმაყოფილებს თბილისის გუბერნიას მხოლოდ ღვინითა, ზემო იმერეთი კი, ღვინის გარდა, აძლევს მთელს ქუთაისის გუბერნიას პურსა, სიმიდსა, საკლავ-სამარხოსა; ის კი არა, თვით გორს, თბილისს და ოდესასაც სწვდება მისი ღვინოები. მაკაროვისა და ბევრი სხვა სირაჯების, ესრედ წოდებული, კახური ღვინოები შორაპნის მაზრის ღვინოები გახლავან. აი, ჩვენ ვიკისრეთ ამისთანა მდიდარს, მაგრამ მთა-კლდით შეზღუდულს, ქვეყანაში გაგვეტარებინა რკინის გზის ხაზი ზემო იმერეთიდგან ყოველ ნაირი სიმდიდრისა და წარმოების გამოსატანად, რომ ამით ჩვენს ქვეყანას და განსაკუთრებით შორაპნის მაზრას მინიჭებოდა კეთილ-მდგომარეობა. მაგრამ სანამდის შორაპნის რკინის გზის გაყვანის საქმეს კავკასიის რკინის გზის კამპანია მიაქცევდა ჯეროვანს ყურადღებას, ნ. ი. ნიკოლაძემ კამპანიასთან მოახერხა, რომ ხონის რკინის-გზის შტო პირველად გაყვანილიყო. ამ გარდაწყვეტილებას ის განძრახვა ჰქონდა, რომ ხონის რკინის გზის შტო უფრო ადვილი გასაყვანი იყო ადგილის მდებარეობის გამო და რაკი იქ ხალხი მიიღებდა იმ პირობებს, რომელთაც რკინის გზის კამპანია ითხოვდა, მერე სხვა მაზრებიც ადვილად მიჰყვებოდენ იმის მაგალითს.

როგორც ყველამ ვიცით, არის ორგვარი რკინის გზები: ერთნი—მთავრობის დახმარებით და საშუალებით კეთდებიან, მეორენი კი საზოგადოებისა და ერობის შემწეობითა.

მთავრობამ უარი სთქვა შემწეობაზე იმისთანა რკინის გზების შესახებ, რომელნიც არ ემსახურებიან საზოგადო სახელმწიფო საქმეებს, ესე იგი სამხედრო წადილს და ხალხთა-შორის ვაჭრობას. მთავრობა ვერ კისრულობს იმისთანა რკინის გზის შტოს გაკეთებას, რომელზედაც დარწმუნებული არ არის, რომ საკმაოდ შემოსავალი ექნება, ნახარჯს გაისტუმრებს. საცა ჩვენზე უფრო განათლებული ქვეყნებია:—ამერიკაში და ევროპაში მომეტებული ნაწილი რკინის გზის შტოებისა ქალაქიდგან ქალაქამდე, სულ თემობისაგან არის გაკეთებული. რუსეთშიაც შემოილო ამისთანა გზების კეთება ზოგიერთმა ერობამ (ზემსტვომ).

ჩვენს ქვეყანაში თუ კამპანიას თითონ ჩვენი საზოგადოება და ხალხი არ დაეხმარა რკინის გზის შტოების გაყვანაში, ისე შეუძლებელია ამათი გაკეთება. ამ შემთხვევაში კამპანიას ჩვენ თითქმის თავდები გაუხდით, რომ ჩვენი ხალხი იკისრებს იმ პირობების

---

რადღებით „ჰკითხულობდეს, ამას საქვეყნოდ აღიარებდეს და მხოლოდ ამ საბუთით ამტკუნებდეს მოპირდაპირეს, აკი მოგახსენებთ, ეს ისეთი გარემოებაა, რომელიც მანია ამბიციოზის უტყუარ ნიშნად უნდა ჩაითვალოს.

მეორე მაგალითი. რასა ბძანებთ იმისთანა მოგზაურზედ, რომელიც ერთს თვალს გადაავლებს რომელსამე ქვეყანას და დაბრუნდება შინ თუ არა, სქელ ტომს დასწერს ამ ქვეყანაზედ და იმის მცხოვრებლებზედ. რასა ბძანებთ ამავე მოგზაურზედ, თუ იგი, მაგალითად, დასწერს თავის თხზულებაში, რომ თბილისში ორი გამოჩენილი ქველ-მოქმედი და ბანკირი სცხოვრობსო: იეგორ და ყასუმოვიო, ან თბილისში გამოდის სამი ქართული ჟურნალი «ივერია», «საქართველოს» და «მოამბეო». თქვენ, არ ვიცით, რასა ბძანებთ, მაგრამ მე კი ვიტყვი, რომ ეს მოგზაურიც მანია ამბიციოზით და ავტორობის სურვილით უნდა იყოს შეპყრობილი-მეთქი. ასეთი საქმე დაემართა ინგლისელ მოგზაურს ჩარლზ მირვინს, რომელმაც ორი თუ სამი დღე დაჰყო ჩვენს ქვეყანაში და ერთი დიდი ტომი გამოსცა მასზე. მარვინის თხზულებაზე რეცენზია იყო დაბეჭდილი «კავკაზში» და მისვე შესახებ მთელი მოწინავე წერილი დიდ რუსულ გაზეთს «Новост»-ში. აი სხვათა შორის მეცნიერული გამოკვლევა მარვინისა, რომლის ძალითაც იგი თბილისს ს—ურ ქალაქადა სთვლის. „თბილისში გამოდის», ამბობს იგი, ოთხი სომხური ჟურნალი («არარატი» «ფორძი», «ჰაიკაკან» და «აშკარ») მაგრამ ნამდვილად აი საქმე როგორ არის: «არარატი», ვგონებთ, ეჩმიაძინში გამოდის. «ფორძი» სრულიად არ გამოდის და „ჰაიკაკან აშკარ“ როდისღაც და სადღაც გამოდიოდა ერთ ჟურნალად და ეხლა, მხოლოდ მარვინის კალმის ქვეშ განახლებულა და განახლებულა ისე, რომ ერთი მკვდარი ჟურნალი ორ ცოცხლად ქცეულა და ამ ორს სათაურიც ძმურად შუა გაუყვიათ. რომ მარვინმა ორი დღის მოგზაურობის შემდეგ ორი ტომი დასწეროს, ეს გასაკვირველი არ არის, რადგან ავტორობა ყველას უნდა, თუ მეტადრე ეს ავტორობა სარფაც არის, მაგრამ ის კი გასაკვირველია, რომ «კავკაზმა» ამ გვარი „პირუთვნელი“ გამოკვლევა მართლა პირუთვნელად მიიღო და «ნოვოსტებმა» მოწინავე წერილიც უძღვნეს მარვანისაგან ჩვენს ქვეყანაზედ მოფენილს ახალს „ნათელს“.

მესამე მაგალითი... მაგრამ ეს ფელეტონი ისე გრძელდება, რომ სჯობს ეს მაგალითი ქვემოდ განცხადებებში მონახოთ.

### განცხადებანი:

ერთი მილიონი ფრანკი!

ფილოქსერასთან საბრძოლველად დანიშნული მე მეკუთვნის.

აი ჩემი პროექტი:

მთელი დედა-მიწის ზურგი ჩემისთანა გავლენიან პირებს დაურიგეთ და, თუ ფილოქსერამ სადმე გაწაწანება გაჰბედოს, პასუხს მე ვაგებ.

ვ—კი.

—

### ვინ სტყუის?

ჩვენ ქვემორე ამისა ხელის მომწერელნი მეცნიერნი—ისტორიკოსები ამით ვაცხადებთ, რომ ჩვენგან უყურადღებოდ დაწერილი წერილები შემდეგ დაბეჭდვისა სრულის ყურადღებით გადვიკითხეთ და დავრწმუნდით, რომ ჩვენ მართალნი ვართ და ჩვენი რეცენზენტი კი სტყუის და ნერვების დამშვიდება ეჭირვება.

სამეცნიერო ტრიო: „ბ—ყე—რ—ე—ერ—ვი“.
(3—3)

—

### ლექსიკონს მიწენებენ,

«ბევრი კორექტურული შეცდომებიაო, მაგრამ ეს ცოდვა ისე აუცილებელია, როგორც საათს ვერ მოვთხოვთ მუდმივ სისწორით იმუშაოს. ოლოლო უცნობ რეცენზენტს!“

თავ. რაფ. ერ—ვი.
(1—1)

—

### „ვამზადებ წინა-სიტყვაობებს“

როსტომიანისათვის, ქილილა და დამნისათვის, კარაბადინისათვის და სხვა ქართული წიგნებისათვის. „ცოდვილი ხმის“ წინა-სიტყვაობა უკვე დაბეჭდილია. ზემოხსენებული წიგნების გამომცემელთ ვთხოვ გაჭირების დროს მე მომმართონ.

ჰაე-ჰოე.
(10—1)

---

რადგანაც ცოცხლებზე წერა აღარ ხერხდება, ამის გამო მკვდრებზე უნდა ვიფიქროთ: ვისაც საფლავის ქვაზე დასაწერი **ეპიტაფია** უნდა შეუძლიან ჩვენ მოგვმართოს. ფასი გადაჭრილია 25 **მანათი**. ხუმრობა არ გეგონოთ!

ჩემი ადრესი. სადმე გზაზე

ა—კი.

ნამდვილად აკაკის ხელია; თუნდა ნოტარიუსთან შევამოწმებინებთ.

რედ.

—

### წერილი რედაქტორთან.

„ბ. რედაქტორო! ჩემგან დაბარებული „დროება“ მომდის, მაგრამ ადრესი შეცდომით იწერება. თუ ამაზედ მეტი რუსული არ იცით, მაშ რაღას რედაქტორობთ? ასე დამახინჯებული ადრესით გზავნას, მოგვისპოთ გაზეთი, ის გვირჩევნიან. რა პატიოსნებაა, თუ ღმერთი გწამთ, ადრესის დამახინჯება?“

ბოდიშს ვიხდით ამ «უპატიოსნო» შეცდომისათვის, მაგრამ გაზეთის მოსპობას კი ვერ ვკისრულობთ. იქნებ „დროებამ“ მაინც შეგატყობინოთ, რომ ადრესების წერას რედაქტორი არ ეჭირვება. სხვა არა იყოს-რა, მადლია.

რედ.

ასრულებას, რომელსაც მოითხოვს მისგან რკინის გზის კამპანია. ამ სახით წარსულის წლის ოქტომბრის შუა რიცხვებში კავკასიის რკინის გზის კამპანიის მოთავემ ა. ა. ბუნგემ იკისრა ჯერ-ჯერობით ხონისა და ყვირილის რკინის გზის შტოების გაყვანა. იმის გადაწყვეტილების თანახმად მე, როგორც კამპანიის აგენტი, შევუდექი პირველად ხონის რკინის გზის შტოს საქმის დაბოლოვებას. კამპანია ითხოვდა: 1) უფასოდ მიწების დათმობას, საცა კი რკინის გზის ხაზი გაივლის; 2) კომლზე ექვსი დღის მუშაობას, და 3) უფასოდ მასალების დათმობას, რაიცა კი აღმოჩნდებოდა მეპატრონისაგან დათმობილს მიწის ნაჭერზე.

ამის ჩაგონებას, უეჭველია, ერთი და ორი დღე არ ეყოფოდა, ამას დასჭირდა ჩემის მხრით თითქმის ერთი წლის ჯაფა და სასჯელი, რომ ხალხი დამერწმუნებინა და გამებედვინებინა შეეწირნა კამპანიისათვის ზემოხსენებული მსხვერპლი.

უნდა ვაღვიარო გულის სიწმინდით, რომ მე თვითონ ბევრს ვერას გავხდებოდი ამ საქმეში, რომ გუბერნიისა და მაზრის ადმინისტრაციას არ მიეღო მონაწილეობა და არ აღმოეჩინა ჩემთვის რიგიანი შემწეობა. არა ნაკლები ღვაწლი მიუძღვისთ ამ საქმეში ადგილობრივს თავად-აზნაურობას, რომელმაც თავის მამა-პაპის შესაფერი ადგილი დაიჭირა. წარჩინებულნი იმერეთის თავად-აზნაურნი: თავადნი ჩხეიძეები, წულუკიძეები, მაჩაბლები, აზნაურნი: ლორთქიფანიძეები, ლოლობერიძეები და ჟუთათელაძეები გახდენ ნამდვილნი ხალხის მოთავენი ამ საქმეში. იმათს კეთილშობილურს მაგალითს და თავგანწირულს მოქმედებას მიჰყვა ხალხი და კეთილად დაბოლოვდა ხონის რკინის გზის შტოს საქმე. ამ რკინის გზის შტოს გაყვანისათვის ხალხმა მისცა კამპანიას უსასყიდლოდ საჭირო ადგილები, განაჩენით გადუწყვიტა უსასყიდლოდ კომლზე ექვსი დღის მუშაობა და ამასთანავე მისცა ყოველ-ნაირი მასალაცა მეპატრონეების მიერ დათმობილს ადგილებში. დღეს ხონის რკინის გზის შტოს საქმე სამაგალითოდ რჩება მთელის საქართველოსათვის.

გათავდა რა ხონის შტოს საქმე, აწ ამ ოქტომბრის გასულს უნდა წავიდე შორაპნის მაზრაში და დავიწყო ყვირილის შტოს გაყვანის საქმე.

იმედი მაქვს, მოწყალეო ხელმწიფევ, იასონ პაპანაძევ, რომ თქვენსავით მოწადინებულად და გულ-მხურვალედ მოჰკიდებს ხელს მთელი შორაპნის საზოგადოებაცა ყვირილის რკინის გზის საქმესა. რაც უფრო მალე გავათავებთ პირობების შეკვრას ადგილის დათმობისა და მუშაობის აღთქმის შესახებ, იმდენად მალე გაკეთდება ყვირილის რკინის გზის შტოცა.

იმედია, შორაპნის საზოგადოებაც ისე დააგვირგვინებს ამ თავის საკეთილდღეო საქმეს, როგორც დააგვირგვინეს თავის ქვეყნის საქმე მომავალში ჯიხაიშმა, ხონმა, საწულუკიძეომ და მათხოჯმა. ეს ერთად-ერთი საშუალება დაგვრჩენია ჩვენის ქვეყნისა და ერის წინ წასაყენებლად, მოვკიდოთ დიდმა და მცირემ, თავადმა, აზნაურმა და გლეხმა ერთმანეთს ხელი და ვეცადოთ ყოველ ნაირი შემწეობა აღმოვუჩინოთ რკინის გზის კამპანიას, რომ იმან დაგვიკეთოს შტოები, გაქსელოს ჩვენი ქვეყანა რკინის გზებითა.

რაკი ამას შევასრულებთ, მერე, იმედია, ჩვენი მხარეც დაწინაურდეს ალებ-მიცემობით, კეთილ-დღეობით და განათლებით.

გიორგი წერეთელი.

დ. ხონი.
ოქტომბრის 3-ს.

# ტელეგრამები

(,,ჩრდილოეთის სააგენტოსი'')

ოქტომბრის 5-ს

**პეტერბურგი.** იმისათვის რომ სახაზინო მამულები იაფად არავინ გაჰყიდოს, შეუდგენიათ ახალი წესები იმის შესახებ, თუ რა წესით უნდა იყიდებოდენ იგინი. ამ წესებს მალე წარადგენენ სახელმწიფო რჩევაში. გაყიდვა ხსენებული მამულებისა უნდა მიენდოს: საგუბერნიო ქალაქებში—საკუთარს დაწესებულებას, რომელიც უნდა შესდგეს ადგილობრივი გამგეობის და სახელმწიფო კონტროლის წარმომადგენელთაგან და თავმჯდომარედ გუბერნატორი უნდა ჰყავანდეს, ხოლო სამაზრო ქალაქებში კი—სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს და საკონტროლო უწყების მოხელეთა.

**სევასტოპოლი.** დღეს მოასვენეს გრაფი ტოტლებენის გვამი, რომელსაც სამეფო ნავთ-სადგურთან დახვდენ ადგილობრივი მთავრობა და ქალაქის წარმომადგენელნი; პანაშვიდის შემდეგ, გვამი წაიღეს საძმო სასაფლაოზე, სადაც დამარხეს იგი მარმარილოთი აშენებულს საფლავში; ამ დროს სამხედრო გემებიდგან ზარბაზნებს ისროდენ; გვამს თან მოჰყვა სამხედრო პარადი, სამღვდელოება, განსვენებულის ნათესავნი და დიდ-ძალი სხვა ხალხი.

**ლონდონი.** იმ ხმების გამო, რომელნიც გავრცელდენ ახალი სადინამიტო შეთქმულების შესახებ, ინგლისის პორტებში დაუწესებიათ სასტიკი ზედამხედველობა; ანტვერპენში და სხვა ბელგიის პორტებში გაუგზავნიათ საიდუმლო პოლიციის აგენტები. გუშინ ქალაქ ჰარტონში უპოვნიათ თუნუქის კოლოფი, რომელშიაც თვრამეტი დინამიტის პატრონა ყოფილა.

# ცნობანი

**საავადმყოფოს დირექტორი ბ-ნი ვერმიშევი** ამით აცხადებს, რომ ქ. თბილისის მოქალაქეთა მიერ გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის დაარსებულს საავადმყოფოში 1866 წლის აპრილის 4-ის მოსაგონებლად ამ ოქტომბრის 5-დგან შემოღებული იქნება მცხოვრებთა შეღავათისათვის ღამღამობით მორიგად ყოფნა ბბ. ექიმთა და ბებიათა.

**ექიმები:**

**არუთინიანი**, ორშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით.

**კორონა**, სამშაბათობით და შაბათობით.

**მელიქ-ფარსადანოვი**, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

**ბებიები:**

**ფილჩაკოვისა**, სამშაბათობით.

**ბაგინოვისა**, ორშაბათობით, და პარასკევობით.

**სტეფანოვისა**, ოთხშაბათობით და შაბათობით.

**ლოქშისა.** ხუთშაბათობით და კვირაობით.

**მაზანდა**

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელდა-ხელ 1 ოქტომბრიდამ 1 ნოემბრამდე 1884 წ.

| | | | |
|---|---|---|---|
| გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა | —1 | გირ. | 5 კ. |
| ქართულის ფქვილისა: პირველის ხარისხისა | —1 | გ. | $2^1/_2$ |
| მეორისა | —1 | გ. | 2 კ. |
| იმავე ფქვილ. თონეში გამომცხვარი: | | | |
| პირველი ხარისხის | —1 | გ. | $4^1/_2$ |
| მეორისა | —1 | გ. | 3 კ. |
| მესამისა | —1 | გ. | $2^1/_2$ |
| ჯვარის-მამი პური: | | | |
| პირველი ხარის. ლავაში | 1 | გ. | $4^1/_2$ |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 | გ. | $3^1/_2$ |
| მესამისა | —1 | გ. | 3 კ. |
| ძროხის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხისა | —1 | გ. | 7 კ. |
| მეორისა | —1 | გ. | 6 კ. |
| სუკი . . . | —1 | გ. | 14 კ. |
| ცხვრის ხორცი | —1 | გ. | 7 კ. |
| ღორის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხისა | —1 | გ. | — კ. |
| მეორისა | —1 | გ. | — კ. |

**რკინის გზა**

თბილისიდამ ქუთაისისკენ მიდის
8 საათზედ და 31 წამ. დილით
თბილისიდამ მარტო ხაშურამდინ
3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.
თბილისიდამ ბაქოსკენ
10 საათზედ და 45 წამ. დილით.
(სამშაბათობით საჩქარო 10 ს. 58 წ. ღამ.)
ქუთაისიდგან თბილისისკენ
12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკან.
ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ
5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.
ბათუმიდგან თბილისისკენ
8 საათ. დილით.
ფოთიდგან თბილისისკენ
8 საათ. და 45 წამ. დილით.
ფოთიდამ ბ ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის
10 საათზედ და 25 წამ. ღამით.
მარტო ხაშურიდამ მომავალი თბილისში შემოდის
8 საათზედ დილით
ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში
2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან.
(პარასკევობით საჩქარო 7 ს. 53 წ. დილ.)


# განცხადებანი

**ყმაწვილ-კაცს**

რომელსაც გაუთავებია გიმნაზია და ერთი წელიწადი უმაღლეს სასწავლებელში ყოფილა, სურს იშოვოს ლათინური, ბერძნული და ფრანცუზული ენების

**გაკვეთილები.**

ადრესი: ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში. (3—3)

გამოვიდა და ისყიდება
**სამი კომედია**
ა. ცაგარლისა
ფასი 60 კაპ.

თბილისს: ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და შავერდოვის სააგენტოში.
გორში: მარიამ გერსულიძესთან.
ცხინვალში: ქეთევან ყურულთან.
ქუთაისში: ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში.
ბათუმში: მოსე ნათაძესთან.
(6—2)

გამოვიდა და ისყიდება თბილისის უმთავრესს წიგნის მაღაზიებში მოკლე ქართულ - რუსულ - ლათინური

**ლექსიკონი**
**მცენარეთა, ცხოველთა**
და
**ლითონთა**

სამეფოებიდგან, შედგენილი თავ. რაფ. ერისთავისაგან. — ფასი ადგილობრივ ორი მანათი. (10—6)

**თელავის დამზოგველი საზოგადოების მმართველობა**

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ამავე საზოგადოების «დეპო» მიიღებს გასასყიდად ყოველ-გვარ **ქართულს წიგნებს.** გასყიდული წიგნების ფულს, წიგნის პატრონი მიიღებს მუდამ იანვრის თვეში, წლიური ანგარიშის დამტკიცების შემდეგ, 10% გამორიცხვით «დეპოს» სასარგებლოდ.
(10—6)

გამოვიდა და ისყიდება:
**განკიცხული**
მოთხრობა
ა. მ. მოჩხუბარიძისა (ყაზბეგისა)
ფასი ათი შაური.

თბილისში, «დროების» რედაქციაში და ბ. რ. ჩარკვიანის მაღაზიაში.
ქუთაისში. ჭილაძის მაღაზიაში.
თელავში. ბ. როსტომაშვილთან.
ფოთში. ბ. ხუმარაძის მაღაზიაში.


Доз. ценз. Тифлисъ, 6 Октября 1884 г. სტამბა არ. ქალანდაძისა და ამხ. გამომცემელი გ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი